## მორიგი გამარჯვება

“დინამო” (თბილისი) – “ზენიტი” (ლენინგრადი)
გუდაუთა. (ტელეფონით ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

23 მარტს გუდაუთის სტადიონზე გაიმართა საწვრთნელი მატჩი “ა” კლასის ოსტატ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ერთმანეთს შეხვდნენ “ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი). თამაში დაიწყო დინამოელთა სწრაფი იერიშებით. თავდამსხმელები ნახევარდაცვის აქტიური დახმარებით კარგა ხნის განმავლობაში არ მოსცილებიან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს.

31–ე წუთზე ლენინგრადელთა კართან დაინიშნა კუთხური დარტყმა. ჯოჯუას მოწოდებულ ბურთზე სწრაფად გავიდა ელოშვილი და ძლიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

თამაშის მეორე ნახევარი პირველის ანალოგიურად წარიმართა. თბილისელები კვლავ შეტევაზე იყვნენ და მოწინააღმდეგეს საშუალებას არ აძლევდნენ გარდატეხა შეეტანათ თამაშში. 51–ე წუთზე ლენინგრადელთა კართან შეიქნა მეტად მწვავე მომენტი და კრავეცი იძულებული იყო ხელით გაეჩერებინა ბურთი. 11–მეტრიანი საჯარიმო ზუსტად გამოიყენა ღოღობერიძემ. ანგარიში გახდა 2:0 “დინამოს” სასარგებლოდ.

რამდენიმე წუთის შემდეგ ხასაიამ მიიღო ბურთი დავარაშვილისაგან, სწრაფად გავიდა მარცხენა ფლანგზე და უკან გადასცა ღოღობერიძეს. ამ უკანასკნელმა შეუჩერებლად დაარტყა კარში და მესამე გოლი გაიტანა.

მატჩი მოიგეს თბილისელებმა ანგარიშით – 3:0.

გამარჯვებულები თამაშობდნენ შემდეგი შემადგენლობით: მარღანია, ელოშვილი, რუსაძე, ხოჭოლავა, მახარაძე, დავარაშვილი, ჯოჯუა, იამანიძე, კალოევი, ღოღობერიძე, ხასაია.

ამავე გუნდების დუბლშემადგენლობათა თამაში დამთავრდა ფრედ – 1:1.

30 მარტი, 1955 წ.